



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი

საჯარო სამართლის იურიდიული  
პირი - აჭარის კულტურული  
მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს  
დირექტორის

ბრძანება №01-03/2

„3“ იანვარი 2014წ.

„2014 წლის განმავლობაში სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოდან მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად


#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. 2014 წლის განმავლობაში სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოდან მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაიცეს თითოეული განმცხადებლის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია თუ მათი ასლების საერთო რაოდენობა არ აღემატება 20 გვერდს.
2. 2014 წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 გვერდს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 5 ივლისის N01-03/64 ბრძანება.
4. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ადმინისტრაციულმა განყოფილებამ (ნ.მამულა-იშვილი).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის: ქალაქი ბათუმი, ლ.გუდიაშვილის ქ. №4) ან ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს დირექტორი



ბიძინა აფხაზავა